

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №376

2020 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

## განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ მუხლი 1

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-16 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოთვლის მეთოდოლოგია“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

## განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოთვლის მეთოდოლოგია

### მუხლი 1. მეთოდოლოგიის მოქმედების სფერო

1. „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოთვლის მეთოდოლოგია“ (შემდგომში – მეთოდოლოგია) გამოიყენება „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) გათვალისწინებული საქართველოს განახლებადი ენერჯის წილის სამიზნე მაჩვენებლების დაკმაყოფილების დონის გამოთვლის მიზნით.

2. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გამოთვლის მიზნით, ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, ასევე განისაზღვრება განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მოხმარება, სხვადასხვა განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ჯამის საფუძველზე.

3. ამ მეთოდოლოგიაში მოცემული მაჩვენებლები გამოიანგარიშება ყოველწლიურად ევროსტატის სტატისტიკის სამსახურის (ევროსტატი – EUROSTAT-ის) მიერ მოწოდებული განახლებადი ენერჯის წყაროების მოკლე შეფასების ინსტრუმენტის (SHARES tool) საფუძველზე.

4. ამ მეთოდოლოგიაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გამოსათვლელად გამოყენებული მონაცემები მოწოდებულია სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ევროსტატის – (EUROSTAT)-ის სტანდარტების სრული დაცვით.

### მუხლი 2. ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გამოთვლის წესი

1. კანონის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, განახლებადი ენერჯის წილი გამოითვლება შემდეგნაირად: განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება გაყოფილი ენერჯის ყველა წყაროდან მიღებული ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაზე. ეს წილი გამოსახულია პროცენტულად.

2. ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი



გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$SE(RES) = \frac{GFEC(RES)}{GFEC} \times 100\%$$

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფორმულაში გამოყენებულ სიმბოლოებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) SE(RES) (Share of Energy from Renewable Energy Sources) – განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში;

ბ) GFEC(RES) (Gross Final Energy Consumption from Renewable Energy Sources) – განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მთლიანი მოხმარება;

გ) GFEC (Gross Final Energy Consumption) – ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება. მრეწველობის, ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო, მომსახურების, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის სექტორების მიერ ენერჯის საბოლოო მოხმარება, ელექტროენერჯისა და სითბოს მოხმარებისა და დანაკარგების ჩათვლით, რომელიც გამოიყენება ენერგეტიკული მიზნების განსახორციელებლად, ელექტროენერჯისა და სითბოს წარმოებისა და გადაცემა-განაწილებისათვის.

4. GFEC (Gross Final Energy Consumption) – ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება (GFEC), თბური ტუმბოების ჩათვლით =

ენერჯის საერთო საბოლოო მოხმარება [ktoe] +

+ ელექტროენერჯის განაწილებისა და გადაცემის ხარჯები [ktoe] +

+ მიღებული სითბოს გადაცემისა და განაწილების დანაკარგები [ktoe] +

+ ელექტროენერჯის მოხმარება ელექტროენერჯის/სითბოს წარმოების სექტორში [ktoe] +

+ სითბოს მოხმარება ელექტროენერჯის/სითბოს წარმოების სექტორში [ktoe]

+ თბური ტუმბოების მიერ მიწოდებული სითბო [ktoe] –

- თბური ტუმბოების მიერ მოხმარებული ენერჯია [ktoe].

**მუხლი 3. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მთლიანი მოხმარების გამოთვლის წესი**

1. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება GFEC(RES) გამოითვლება განახლებადი წყაროებიდან, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$GFEC(RES) = RES(E) + RES(H\&C) + RES(T)$$



2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფორმულაში გამოყენებულ აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- **GFEC(RES) – (Gross Final Energy Consumption)** – განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მთლიანი მოხმარება;
- **RES (E) (Renewable energy Sources – Electricity)** – განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება;
- **RES (H&C) (Renewable energy Sources – Heating & Cooling)** – გათბობისა და გაგრილებისათვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მოხმარება;
- **RES (T) (Renewable energy Sources – Transport)** – ტრანსპორტის სექტორის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მოხმარება.

3. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლისას, განახლებადი წყაროებიდან მიღებული გაზი, ელექტროენერჯია და წყალბადი გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, ამ დადგენილების მე-4, მე-5 ან მე-6 მუხლში მოცემულ გამოთვლებში.

#### მუხლი 4. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლა

1. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილი გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\text{RES (E) (\%)} = \frac{\text{ელექტროენერჯის გამომუშავება განახლებადი წყაროებიდან}}{\text{მთლიანი ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება}}$$

2. ჰიდროელექტროსადგურისა და ქარის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია უნდა ჩაითვალოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში, რომელიც განსაზღვრულია „ჰიდროენერჯისა და ქარის ენერჯისგან გამომუშავებული ელექტროენერჯის აღრიცხვის ნორმალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

3. სხვადასხვა ტიპის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებში, რომლებიც ენერჯის განახლებად და წიაღისეულ (არაგანახლებად) წყაროებს იყენებენ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ელექტროენერჯის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განახლებადი წყაროებიდან არის მიღებული. ამ მიზნით, თითოეული ენერჯის წყაროს წილი მისი ენერჯის შემცველობის საფუძველზე უნდა გამოითვალოს.

#### მუხლი 5. გათბობისა და გაგრილებისათვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლა

1. გათბობისა და გაგრილებისათვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საბოლოო მოხმარების წილი გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:



2. გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის მთლიანი საბოლოო მოხმარება გამოითვლება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ცენტრალური გათბობისა და ცენტრალური გაგრილების რაოდენობისა და გათბობისთვის, გაგრილებისა და დამუშავების პროცესისთვის მოხმარებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული სხვა ენერჯიების ჯამი, რომლებიც მიეწოდება მრეწველობას, საყოფაცხოვრებო სექტორს, მომსახურების სფეროებს, მათ შორის, საჯარო მომსახურების სფეროებს, სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობას, თევზის მეურნეობას, თევზგადამამუშავებელ საწარმოებსა და ელექტროენერჯიისა და სითბოს მწარმოებელ ობიექტებს, მოიცავს სითბოს დანაკარგებს გადაცემისა და გადანაწილების დროს.

3. სხვადასხვა ტიპის საწვავზე მომუშავე სადგურებში, რომლებიც ენერჯიის განახლებად და წიაღისეულ (არაგანახლებად) წყაროებს იყენებენ, გათბობისა და გაგრილებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერჯიის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განახლებადი წყაროებიდან არის მიღებული. ამ მიზნით, თითოეული ენერჯიის წყაროს წილი მისი ენერჯიის შემცველობის საფუძველზე უნდა გამოითვალოს.

4. პასიური ენერგეტიკული სისტემების მიერ გამოიმუშავებული თბური ენერჯია, რომლის ფარგლებშიც ენერჯიის დაბალი მოხმარება პასიურად მიღწეულია ნაგებობების დაპროექტებით ან ენერჯიის წიაღისეული (არაგანახლებადი) წყაროებიდან მიღებული სითბოს მეშვეობით, გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში გათვალისწინებულ არ უნდა იქნეს.

5. კანონის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, თბური ტუმბოებიდან მიღებული აეროთერმული ენერჯია, გეოთერმული ენერჯია და ჰიდროთერმული ენერჯია გათვალისწინებული უნდა იქნეს გათბობისა და გაგრილებისთვის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში, იმ პირობით, რომ ენერჯიის საბოლოო გამოიმუშავება მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს პირველად მიწოდებული ენერჯიის რაოდენობას, რომელიც საჭიროა თბური ტუმბოების ასამუშავებლად.

6. იმ სითბოს რაოდენობა, რომელიც მიჩნეულია განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯიად, უნდა გამოითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული თბური ტუმბოებიდან მიღებული ენერჯიის აღრიცხვის წესის შესაბამისად.

**მუხლი 6. ტრანსპორტის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლა**

1. ტრანსპორტის მიერ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის საბოლოო მოხმარების წილი გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$RES(T)(\%) = \frac{2.5 * \text{საგზაო ელექტროსატრანსპორტო საშუალებების მიერ მოხმარებული განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯია} + (\text{ბიოსაწვავი} + 2 * \text{ნარჩენებისგან მიღებული ბიოსაწვავი})}{\text{ტრანსპორტის მიერ ენერჯიის სრული საბოლოო მოხმარება}}$$

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ფორმულა შედგენილია ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივისა და კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის განსაზღვრებების მიხედვით.

3. ბიოსაწვავი და ბიოსითხე, რომლებიც „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და



გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მდგრადობის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების წილის გამოთვლისას გათვალისწინებულ არ უნდა იქნეს.

